ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. „ნიუ ჰაუსი“ (577775077)

საფუძველი: 30.08.2013წ. №12/13273455-16

მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი კრწანისი, №65 სკოლის მომიჯნავედ

საკ.კოდი: №01.18.06.018.048

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება: №ნ/120 23.01.2012წ.
მშენებლობის ნებართვის შესახებ ბრძანება: №ნ/120-1 23.01.2012წ.

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი **IV-კლასი**

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (15.10.13) დადგინდა:

II ბლოკი

„დ-ა“ ფასადზე: „ა-ა“ ღერძის მიმდებარედ სარდაფის სართულზე გაუქმებულია სავენტილაციო ღიობი. „+23.10“ და „+26.40“ ნიშნულებზე შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე და დამატებით მოწყობილია კარები, ასევე დამატებულია ლითონის დეტალი და კედლის დეტალი. გაზრდილია პერგოლების სიგანე და ნაცვლად ხისა მოწყობილია ლითონის პერგოლები. „+29.70“ ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სამი ღიობი და შევსებულია ცხაურით. ტექნიკური სართულის გადახურვაზე ფილა გამოსულია კედლის კონტურიდან.

„1-5“ ფასადზე: „1-1“ ღერძიდან მარჯვნივ სარდაფის სართულზე გაუქმებულია სავენტილაციო ღიობი. „-3.30“ ნიშნულზე გაზრდილია ღიობის სიმაღლე. „4-5“ მონაკვეთში კიბის ბაქნების ქვევით პროექტში არ ფიქსირდება რიგელები და შეცვლილია მოაჯირის ნახატი. დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობი. „±0.00“ ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი და მის გვერდით დამატებით მოწყობილია ხის დეტალი. „+29.70“ ნიშნულზე გაუქმებულია კარი და ღიობი ამოშენებულია. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები.

„5-1“ ფასადზე: „-3.30“ ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობი. „-6.60“ ნიშნულზე გაზრდილია კარის სიმაღლე. „+3.30“ ნიშნულზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბი. „+29.70“ ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კარი. ჯამატებულია წყალშემკრები მილები.

„-6.60“ ნიშნულზე: შეცვლილია შიდა კიბის მარშის მიმართულება.

„5-5“ ღერძზე სადარბაზოში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობები(ყველა სართულზე).

„+29.70“ ნიშნულზე: გაზრდილია სამანქანო განყოფილების გაბარიტები. დამატებით მოწყობილია სავენტილაციო შახტები.

ლ. ჯღარკავა

ლ. ცინცაძე